სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2024 წელს განხორციელებული სამუშაოების შესახებ

ანგარიში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური 2024 წელს მუშაობას ეწეოდა სამსახურის დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად.

2024 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში ქალაქად და სოფლად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა ასფალტობეტონის საფარის მოწყობა: ქ.სენაკი, სტალინის ქუჩის მეორე შესახვევის ასფალტირება 697 გრძ.მ-ზე, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭალეს უბანში გზის რეაბილიტაცია 1693 გრძ.მ-ზე, ეკი-უშაფათის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 1374 გრძ.მ-ზე, ძვ.სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ ,,მეგობრობის" ქუჩის რეაბილიტაცია 1550 გრძ.მ-ზე, ჯიხას ქუჩის ბოლოში, სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 220გრძ.მ-ზე, მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სკურიის უბანში გზის რეაბილიტაცია 329 გრძ.მ-ზე, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯაკობიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 794 გრძ.მ-ზე, ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში საკუჭაოს უბანში გზის რეაბილიტაცია 106 გრძ.მ-ზე, ახალისოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჟვანიო-ისულას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 1248 გრძ.მ-ზე, სენაკის მუნიციპალიტეტში ზემო ნოქალაქევის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) 1425გრძ.მ-ზე, ლეძაძამის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯოლევის უბანში ბეტონის საფარის მოწყობა 161 გრძ.მ-ზე, ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ კვაუთში გზის რეაბილიტაცია 2602გრძ.მ-ზე, ზემო-ფოცხო ალერტის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 4347გრძ.მ-ზე, ქ.სენაკი,სიმონ ჯანაშიას ქუჩაზე არსებული სასაფლაოს შიდა გზის რეაბილიტაცია 298გრძ.მ-ზე, მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, საწულეისკირიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 580გრძ.მ-ზე, ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალური გზის რეაბილიტაცია 2637გრძ.მ-ზე, ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში,ლეგოგიეს უბანში გზის რეაბილიტაცია 4495 გრძ.მ-ზე, უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში,ლეხაბურზანიეს უბანში გზის რეაბილიტაცია 200გრძ.მ-ზე, უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში,ლეკორშიეს უბანში გზის რეაბილიტაცია 302 გრძ.მ-ზე, მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭუბაბრიების, მილორავების უბნებში გზის რეაბილიტაცია 1371გრძ.მ-ზე, გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საკუპრეიშვილოს უბანში გზის რეაბილიტაცია 920გრძ.მ-ზე, ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ეწერის უბანში გზის რეაბილიტაცია 586 გრძ.მ-ზე, ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლებაღათურიეს უბანში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 2480 გრძ.მ-ზე. ჯამში ასფალტო-ბეტონის საფარი

მოეწყო 23 გზაზე, 30415 გრძ.მეტრზე. საერთო ღირებულებით 13152012 (სამეტი მილიონ ასორმოცდათორმეტიათას თორმეტი) ლარი.

ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა ოთხი მინი სპორტული მოედნის მოწყობა - თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში გოლასკურის უბანში, ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, გახომელას უბანში და ქალაქად ბელიაშვილისა და ვახტანგ გორგასლის ქუჩებზე - საერთო ღირებულებით 413 304 (ოთხასცამეტიათას სამასოთხი) ლარი.

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებულ პროექტებს:

- ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა მოეწყო თეფანიას ქუჩის ბოლო მონაკვეთისა და ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ძვ.სენაკში 245 გრძ.მ-ზე. საერთო ღირებულებით 81 000 (ოთხმოცდაერთი ათასი) ლარი.
- ნაფეტვარიძის ქუჩის ბოლოში არსებული კორპუსების ფასადებისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - ღირებულებით 397173 (სამასოთხმოცდაჩვიდმეტიათას ასსამოცდაცამეტი) ლარი.
- აკ.ელიავასა და კლდიაშვილის ქუჩების კვეთაზე კორპუსის რეაბილიტაცია - ღირებულებით 137868 (ასოცდაჩვიდმეტიათას რვაასსამოცდარვა) ლარი.
- ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმის შენობის სახურავის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა - ღირებულებით 39 902 (ოცდაცხრამეტიათას ცხრაასორი) ლარი.
- სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრციულ ერთეულში მდინარე რიონზე გადასასვლელი ბორნის მოწყობის სამუშაოები - ღირებულებით 371 100 (სამასსამოცდათერთმეტიათას ასი) ლარი.
- რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ, ყოფილი კინო-თეატრ ,,რუსთაველი''-ს წინ მდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია - ღირებულებით 414 444 (ოთხასთოთხმეტიათას ოთხასორმოცდაოთხი) ლარი.
- ილია ჭავჭავაძის ქუჩა N37-ში ბინაში ასასვლელად და ჩამოსასლელად მარტივი ტიპის ლიფტის მოწყობა - ღირებულებით 49294 (ორმოცდაცხრაათას ორასოთხმოცდათოთხმეტი) ლარი.
- ქალაქის კორპუსებში რკინის კარების მოწყობა - ღირებულებით 127 800 (ასოცდაშვიდიათას რვაასი) ლარი.
- ქ.სენაკი, სამშობიარო სახლის რეაბილიტაცია - ღირებულებით 579 940 (ხუთასსამოცდაცხრამეტიათას ცხრაასორმოცი) ლარი.

დიდი ყურადღება დაეთმო სანიაღვრე სისტემისა და საყრდენი კედლების რეაბილიტაციას, კერძოდ: განცხორციელდა გეგელიას ქუჩაზე, თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოლასკურის უბანში, საკალანდარიშვილოს სასაფლაოზე საყრდენი კედლისა და გზის რეაბილიტაცია, ჭალადიდელის ქუჩაზე და ჯიხას ქუჩაზე 30 გრძ.მ-ზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - საერთო ღირებულებით 234 798 (ორასოცდათოთხმეტიათას შვიდასოთხმოცდათვრამეტი) ლარი.

გარკვეული სახის სამუშაოები განხორციელდება სპორტული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. წლეულს განხორციელდა ქალაქის ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე მინი სპორტული მოედნი მოწყობა, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, საჯაიას ქუჩის მიმდებარედ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ვაჩნაძისა და მ.ღვინჯილიას ქუჩებზე ტრენაჟორის მოწყობა - საერთო ღირებულებით 750 554 (შვიდასორმოცდაათიათას ხუთასორმოცდათოთხმეტი) ლარი.

2023 წელს ხელშეკრულება გაფორმდა და მიმდინარეობს მუსიკალური სკოლის რეაბილიტაციის (მეორე ეტაპი) სამუშაოები - ღირებულებით 391 599 (სამასოთხმოცდათერთმეტიათას ხუთასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი.

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში შესრულდა ქ.სენაკი, მშვიდობის ქ.N190-200-ის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებული მუნიციპალური სკვერის რეაბილიტაცია და სავარჯიშო ტრენაჟორის მოწყობის სამუშაოები - ღირებულებით 42506 (ორმოცდაორიათას ხუთასექვსი) ლარი და ქ.სენაკი, ი.სანაიას ქ.N42-ის მიმდებარედ მუნიციპალურ სკვერში დასასვენებელი და საბავშვო ატრაქციონის კაუჩუკის საფარით მოწყობის სამუშაოები - ღირებულებით 48403 (ორმოცდარვაათას ოთხასსამი) ლარი.

საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტის - ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" ფარგლებში განხორციელდა:

- ქალაქად და ადმინისტრაციულ ერთეულში გზების მოხრეშვა-მოშანდაკების სამუშაოები, საერთო ღირებულებით - 221 908 ლარი;
- ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონი, ღირებულებით - 6 403 ლარი;
- ქალაქად - დავით აღმაშენებლის, აკაკი ელიავას, შოთა რუსთაველის ქუჩებზე, ხორავასა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე - დასრულდა შუქნიშნების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 120 000 ლარი;

პროექტის - ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" ფარგლებში, ჩვენს მუნიციპალიტეტს 18 ინფრასტრუქტურული პროექტი შეემატა, რომელთა საერთო ღირებულება 349 665 ლარს შეადგენს.

2023 წლის 11 და 17 ივლისს ძლიერი წვიმის და წყალმოვარდნების შედეგად, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანდა სანიაღვრე სისტემები, რკინა-ბეტონის ჯებირები, ხიდები, ხიდ-ბოგირები. ასევე სანიაღვრე არხები და ღელეები ჩაიხერგა ჩამოტანილი შლამით და ხე-მცენარეებით. დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის, საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებიდან 2024 წელს განხორციელდა 45 ინფრასტრუქტურული პროექტი ჯამური ღირებულებით 2 693 407 ლარი, კერძოდ:

- თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გოლასკურში ცენტრალურ გზაზე გაბიონის რეაბილიტაცია - ღირებულებით 10 956 (ათიათას ცხრაასორმოცდათექვსმეტი) ლარი.
- უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეგოგინეს უბანში დაზიანებული 3 მილხიდის აღდგენა და 2 ხიდ- ბოგირის მოწყობა - ღირებულებით 95865 (ოთხმოცდათხუთმეტიათას რვაასსამოცდახუთი) ლარი.
- უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეგაბელიეს უბანში დაზიანებული D1500-იანი მილხიდის აღდგენა - ღირებულებით 30610 (ოცდაათიათას ექვსასათი) ლარი.
- ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბეთლემში ზიპლაინის მიმდებარედ გაბიონის მოწყობა - ღირებულებით 26090 (ოცდაექვსიათას ოთხმოცდაათი) ლარი.
- ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეცეკვაოს უბანში ბეწვის ხიდის ბურჯის გამაგრება - ღირებულებით 15052 (თხუთმეტიათას ორმოცდათორმეტი) ლარი.
- ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლებაღათურიეს უბანში ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია - ღირებულებით 64144 (სამოცდაოთხიათას ასორმოცდაოთხი) ლარი.
- ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბეთლემში ბეწვის ხიდის მოწყობა - ღირებულებით 161714 (ასსამოცდაერთიათას შვიდასთოთხმეტი) ლარი.
- ხორშის ადმინისტარციულ ერთეულში, ციზეთის უბანში გზის ჩაქცეული მონაკვეთის აღდგენა - ღირებულებით 34053 (ოცდათოთხმეტიათას ორმოცდაცამეტი) ლარი.
- ხორშის ადმინისტარციულ ერთეულში, პატარა ზანაში ბეწვის ხიდის რეაბილიტაცია - ღირებულებით 239512 (ორასოცდაცხრამეტიათას ხუთასთორმეტი) ლარი.
- ხორშის ადმინისტარციულ ერთეულში, სადადიონოს უბანში დაზიანებული მილხიდის სათავისებისა და გვერდულების რეაბილიტაცია - ღირებულებით 25092 (ოცდახუთიათას ოთხმოცდათორმეტი) ლარი.
- ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ შრომისკარში დაზიანებული 3 მილხიდის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხის ამოწმენდა - ღირებულებით 77206 (სამოცდაჩვიდმეტიათას ორასექვსი) ლარი.
- ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სახუნჯუოს უბანში მდინარე ეკუსკურზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია - ღირებულებით 17991 (ჩვიდმეტიათას ცხრაასოთხმოცდათერთმეტი) ლარი.
- ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ლებაღათურეში სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - ღირებულებით 51373 (ორმოცდათერთმეტიათას სამასსამოცდაცამეტი) ლარი.
- ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში ლეკაკულიეს უბანში სანიაღვრე არხის ჯებირის რეაბილიტაცია - ღირებულებით 74298 (სამოცდათოთხმეტიათას ორასოთხმოცდათვრამეტი) ლარი.

- ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, თერმულ წყლებთან ჩასასვლელი გზის აღდგენა - ღირებულებით 372398 (სამასსამოცდათორმეტიათას სამასოთხმოცდათვრამეტი) ლარი.
- ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯიხას უბანში გზის აღდგენა - ღირებულებით 20327 (ოციათას სამასოცდაშვიდი) ლარი.
- ძველი სენაკის ადმინისტარციულ ერთეულში, ხიდის აღდგენა და სანიაღვრე არხის ამოწმენდა (სხვის ქუჩა) – ღირებულებით 7045 (შვიდი ათასორმოცდახუთი) ლარი.
- ძველი სენაკის ადმინისტარციულ ერთეულში, საარჩაიოს უბანში სანიაღვრე არხის ამოწმენდა - ღირებულებით 3788 (სამიათას შვიდასოთხმოცდარვა) ლარი.
- ძველი სენაკის ადმინისტარციულ ერთეულში, საჯაკობიოს უბანში დამცავი ჯებირის მოწყობა - ღირებულებით 53726 (ორმოცდაცამეტიათას შვიდასოცდაექვსი) ლარი.
- ძველი სენაკის ადმინისტარციულ ერთეულში, სხვის ქუჩაზე მილხიდის მოწყობა - ღირებულებით 2586 (ორიათას ხუთასოთხმოცდაექვსი) ლარი.
- ძველი სენაკის ადმინისტარციულ ერთეულში, ზემო კოტიანეთში მილხიდის მოწყობა - ღირებულებით 12632 (თორმეტიათას ექვსასოცდათორმეტი) ლარი.
- ძველი სენაკის ადმინისტარციულ ერთეულში, კოტიანეთში საარახამიოს უბანში არხის ამოწმენდა და გაბიონის მოწყობა - ღირებულებით 30206 (ოცდაათიათას ორასექვსი) ლარი.
- ძველი სენაკის ადმინისტარციულ ერთეულში, პატარა შხეფის უბანში ხიდის აღდგენა - ღირებულებით 31115 (ოცდათერთმეტიათას ასთხუთმეტი) ლარი.
- ძველი სენაკის ადმინისტარციულ ერთეულში საქანთარიოსა და სადავითაიოს უბნებში სანიაღვრე არხის ამოწმენდა - ღირებულებით 26674 (ოცდაექვსიათას ექვსასსამოცდათოთხმეტი) ლარი
- ძველი სენაკის ადმინისტარციულ ერთეულში, სოფელი საჩიქობავოში D1000 მმ-იანი მილხიდის რეაბილიტაცია - ღირებულებით 12174 (თორმეტიათას ასსამოცდათოთხმეტი) ლარი.
- ძველი სენაკის ადმინისტარციულ ერთეულში, სოფელ კოტიანეთში საყანე ფართობების შესასვლელში მილხიდების რეაბილიტაცია - ღირებულებით 44266 (ორმოცდაოთხიათას ორასსამოცდაექვსი) ლარი.
- ზანის ადმინისტარციულ ერთეულში, ეწერის, საშურღაიოს უბნებში დაზიანებული ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია - ღირებულებით 6790 (ექვსიათას შვიდასოთხმოცდაათი) ლარი.
- მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, გაღმა სახარბედიოში მილხიდის მოწყობა - ღირებულებით 12025 (თორმეტიათას ოცდახუთი) ლარი.
- ქ.სენაკი, გორის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - ღირებულებით 13388 (ცამეტიათას სამასოთხმოცდარვა) ლარი.
- ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - ღირებულებით 58302 (ორმოცდათვრამეტიათას სამასორი) ლარი.
- ფოთის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - ღირებულებით 76726 (სამოცდათექვსმეტიათას შვიდასოცდაექვსი) ლარი.

- ქ.სენაკი, დ. დემურიას ქუჩაზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია - ღირებულებით 99 708 (ოთხმოცდაცხრამეტიათას შვიდას რვა) ლარი.
- ქ.სენაკი, კოსტავას ქუჩაზე ჯებირების მოწყობა - ღირებულებით 33867 (ოცდაცამეტიათას რვაასსამოცდაშვიდი) ლარი.
- ცაგარელის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - ღირებულებით 66416 (სამოცდაექვსიათას ოთხასთექსმეტი) ლარი.
- ქ.სენაკი, მშვიოდბის ქუჩაზე, ნატოჩაოს უბანში N56 სახლთან სანიაღვრე არხის დაზიანებული კედლის რეაბილიტაცია - ღირებულებით 116530 (ასთექვსმეტიათას ხუთასოცდაათი) ლარი.
- ქ.სენაკი,სილოვან შამათავას ქუჩაზე დაზიანებული ჯებირების აღდგენა - ღირებულებით 21296 (ოცდაერთიათას ორასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი.
- ქ.სენაკი, 26 მაისის ქუჩაზე დაზიანებული კედლის აღდგენა-რეაბილიტაცია - ღირებულებით 102126 (ასორიათას ასოცდაექვსი) ლარი.
- ქ.სენაკი, გ.ბრწყინვალეს ქუჩაზე დაზიანებული ხიდის აღდგენა - ღირებულებით 25651 (ოცდახუთიათას ექვსასორომცდათერთმეტი) ლარი.
- ქ.სენაკი, თეფანიას ქ.N41-თან ბეტონის ჯებირის აღდგენა-რეაბილიტაცია - ღირებულებით 29287 (ოცდაცხრაათას ორასოთხმოცდაშვიდი) ლარი.
- ქ.სენაკი, ვ.გორგასლის ქუჩაზე N97-თან ჯებირის ამაღლება - ღირებულებით 4878 (ოთხიასთას რვაასსამოცდათვრამეტი) ლარი.
- ქ.სენაკი, ჭყონდიდელის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - ღირებულებით 163887 (ასსამოცდასამიათას რვაასოთხმოცდაშვიდი) ლარი.
- ქ.სენაკი, ვაჩნაძის ქუჩაზე დაზიანებული ჯებირების რეაბილიტაცია - ღირებულებით 37675 (ოცდაჩვიდმეტიათას ექვსასსამოცდათხუთმეტი) ლარი.
- ა.არჩაიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა - ღირებულებით 37385 (ოცდაჩვიდმეტიათას სამასოთხმოცდახუთი) ლარი.
- ქ.სენაკი, დემურიას ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - ღირებულებით 24887 (ოცდაოთხიათას რვაასოთხმოცდაშვიდი) ლარი.
- მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ პერტულში ხიდის რეაბილიტაცია - ღირებულებით 230754 (ორასოცდაათიათას შვიდსორმოცდათოთხმეტი) ლარი.

ასევე რეაბილიტირდა 2024 წლის 6 თებერვალს სტიქიის შედეგად დაზიანბეული 4 ობიექტი:

- ქ.სენაკი, ქუთაისის პირველ შესახვევში დაზიანებული გზის აღდგენა სავარაუდო ღირებულებით - 119462 (ასცხრამეტიათას ოთხასსამოცდაორი) ლარი.
- ქ.სენაკი, თბილისის ქუჩის შესახვევში, ღელე ხაბაზეთზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია - ღირებულებით 45156 (ორმოცდახუთიათას ასორმოცდათექვსმეტი) ლარი.
- ლეძაძამე-ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის ჩაქცეული მონაკვეთის აღდგენა - ღირებულებით 238999 (ორასოცდათვრამეტიათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი.
- ქ. სენაკი, ჭავჭავაძის N39-ში არსებული რვასართულიანი კორპუსის დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია - ღირებულებით 87888 (ოთხმოცდაშვიდიათას რვაასოთხმოცდარვა) ლარი.

გადაიხურა 2024 წლის 29-30 სექტემბრის სტიქიის (ქარიშხალი) შედეგად დაზიანებული ჭყონდიდელის ქუჩა N1-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი - ღირებულებით 158990 (ასორმოცდათვრამეტიათას ცხრაასოთხმოცდაათი) ლარი და აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა 2024 წლის 12 აგვისტოს სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად სენაკის მუნიციპალიტეტის ლეძაძამის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ხიდს - ღირებულებით 44173 (ორმოცდაოთხიათას ასსამოცდაცამეტი) ლარი.

2023 წელს ხელშეკრულება გაფორმდა და ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2022 წლის 10-11 ოქტომბერს სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად და 2024 წლის 21 ივნისს სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანებული ორი ხიდის მშენებლობა - სენაკის მუნიციპალიტეტის, ლეძაძამის ადმინისტრაციულ ერთეულში და სენაკის მუნიციპალიტეტის, ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში - საერთო ღირებულებით 2513852 (ორი მილიონ ხუთასცამეტიათას რვაასორმოცდათორმეტი) ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სამუშაოები განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. ამ კუთხით დაიხარჯა 738 000 (შვიდასოცდათვრამეტი ათასი) ლარი. ქალაქს შეემატა 45 ინფრასტრუქტურული პროექტი. რეაბილიტირდა გზები, ხიდ-ბოგირები, მოეწყო გარე-განათების სისტემა, სკვერები, საბავშვო ატრაქციონები და სხვა.

2024 წლის 29-30 სექტემბრის სტიქიის (ქარიშხალი) შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანდა 8 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის, ძვ სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. საჩიქობავოში არნოლდ ჩიქობავას სახელობის სახლ-მუზეუმის და 30 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის სახურავები. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის გამოიყო საკომპესაციო თანხა 19 250 (ცხრამეტიათას ორასორმოცდაათი) ლარი. შესაბამისად, შედგენილი აქტების საფუძველზე გაიცა საკომპენსაციო თანხები.

მომზადდა 29-30 სექტემბრის სტიქიის (ქარიშხალი) შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ გასატარებელი ღონისძიებებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც სამუშაოების დაზუსტებულმა ღირებულებამ შეადგინა 1 003 383 (მილიონსამიათას სამასოთხმოცდასამი) ლარი. კერძოდ:

-ჭავჭავაძის ქუჩა N 35-ში არსებული რვასართულიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა.

- ჭავჭავაძის ქუჩა N 33-ში არსებული ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა.

- სამტრედიის ქუჩა N12- 1კორპუსი არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა.

- სამტრედიის ქუჩა N12- 2კორპუსი არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა.

- ძვ სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. საჩიქობავოში არნოლდ ჩიქობავას სახელობის სახლ-მუზეუმის სახურავის რეაბილიტაცია.

- ძვ სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ძვ სენაკში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია (მარჯვენა მხარეს) ქუჩა 12, N10.

- ძვ სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ძვ სენაკში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია(მარცხენა მხარეს)ქუჩა 1, N12.

- რუსთაველის ქუჩა N 116-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა.
- ყოფილ სამხედრო ქალაქში N194-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის გადახურვა.

2024 წლის 19-20 ოქტომბერს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანდა ხიდ-ბოგირები, ჩაიხერგა სასაფლაოს მიმდებარედ არსებული ფერდობები და ჩაიქცა სავალი გზის გვერდულები. სენაკის მუნიციპალიტეტის ზარალის დამდგენი კომისიის მიერ დათვლილ იქნა მიყენებული ზარალის სავარაუდო ოდენობა, რეაბილიტაციას დაექვემდებარა 10 ინფრასტრუქტურული ობიექტი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 804 654 (რვაასოთხიათას ექვსასორმოცდათოთხმეტი) ლარი. კერძოდ:

- ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ციზეთში გზის გასწვრივ ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია.
- ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასერგიოს უბანში ეკლესიასთან მისასვლელი გზის ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია.
- ქ. სენაკი, ჩხეტიას ქუჩის პირველ ჩიხში ჩაქცეული გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია.
- ქ. სენაკი, ქუთაისის ქუჩაზე, ეკლესიასთან მისასვლელი გზის ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია.
- ზანა-უშაფათის დამაკავშირებელი გზის ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია-2 ლოკაციაზე.
- ეკი ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ საადამიოში გზის ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია.
- ქ. სენაკი, ალ.არჩაიას ქუჩაზე მილხიდის რეაბილიტაცია.
- საკალანდარიშვილოს სასაფლაოს 2 ლოკაციაზე დამცავი ჯებირის მოწყობა.
- ქ.სენაკი, არსენას ქუჩაზე გზის ჩაქცეული გვერდულის აღდგენა.
- ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გახომელაში, ლეგაგუეს უბანში სასაფლაომდე მისასვლელი გზის დაზიანებული გვერდულის აღდგენა.

შესყიდულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, დაგეგემილია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

2024 წლის 27-28 ნოემბერს სტიქიის (წყალდიდობა და ქარიშხალი) შედეგად დაზიანდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დუკუმენტაციის შესყიდვა.

- ზემო ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაქცეული გზის გვერდულის აღდგენა.
- უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაქცეული გზის გვერდულის აღდგენა.
- სასპორტო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია.
- ახალსოფლის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაცია.
- ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია.

ასევე 2024 წლის 18 დეკემბერს სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად აღდგენა რეაბილიტაციას დაექვემდებარა 4 ინფრასტრუქტურული ობიექტი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დუკუმენტაციის შესყიდვა.

- უშაფათის ადმინისტრაციული ერთეული, ლეხაბურზანიეს უბანში არსებული ხიდის რეაბილიტაცია.
- ეკის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელ შრომისკარში არსებული ხიდის ბურჯის რეაბილიტაცია.
- ეკის ადმინისტრაციული ერთეული,სოფელ შრომისკარში, საშურღაიოს უბანში ჩაქცეული გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია.
- ხორშის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელ შუა ხორშში, სააბაკელიოს უბანში ჩაქცეული გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია.

2024 წელს ხელშეკრულება გაფორმდა 359 103 (სამასორმოცდაცხრამეტიათას ასსამი) ლარის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, შედგენილ იქნა 23 285 814 (ოცდასამიმილიონ ორასოთხმოცდახუთიათას რვაასთოთხმეტი) ლარის სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საბავშვო და ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, მიმდინარეობს 4 საბავშვო ბაღის მშენებლობის მასშტაბური პროექტი.

- სენაკის მე-3 საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტი, ღირებულებით 4 073 214 (ოთხი მილიონ სამოცდაცამეტიათას ორასთოთხმეტი) ლარი;
- ძველი სენაკის, ლეძაძამეს და ფოცხოს საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოები, ჯამური ღირებულებით - 3 800 000 (სამი მილიონ რვაასიათასი) ლარი.

სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, ვახორციელებთ 3 საჯარო სკოლის მასშტაბურ სარეაბილიტაციო სამუშოებს, საერთო ღირებულებით - 7 370 477 (შვიდი მილიონ სამასსამოცდაათიათას ოთხასსამოცდაჩვიდმეტი) ლარი.

- სსიპ ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციის პროექტი, ღირებულებით - 2 794 373 (ორი მილიონ შვიდასოთხმოცდათოთხმეტიათას სამასსამოცდაცამეტი) ლარი;
- სსიპ ხორშის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშოები, ღირებულებით - 2 249 179 (ორი მილიონ ორასორმოცდაცხრა ათას ასსამოცდაცხრამეტი) ლარი;

- სსიპ უშაფათის საჯარო სკოლის სრულად კეთილმოწყობის პროექტი, ღირებულებით - 2 326 925 (ორი მილიონ სამასოცდაექვსიათას ცხრაასოცდახუთი) ლარი.

პროექტების ფარგლებში, სკოლები აღიჭურვება ყველა შესაბამისი სასწავლო რესურსითა და თანამედროვე ინფრასტრუქტურით. შენობები სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის. შენობებს, განახლებულ სასწავლო სივრცეებთან ერთად, ექნებათ ექიმის კაბინეტი, სააქტო და სპორტული დარბაზები, სასადილო, კომპიუტერული ოთახები და საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტები.

დაიწყო სენაკის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება, რომელსაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ახორციელებს. პროექტის ღირებულებაა 51 295 570 (ორმოცდათერთმეტიმილიონ ორასოთხმოცდათხუთმეტიათას ხუთასსამოცდაათი) ლარი.

სენაკის I ზონაში მოეწყობა წყალსადენის ახალი ქსელი, არსებული ლითონის და თუჯის მილები ახლით შეიცვლება. აშენდება მაგისტრალური მილსადენი. დამონტაჟდება ინდივიდუალური წყალმზომები. განხორციელდება ყოფილი სამხედრო ქალაქის დევნილთა დასახლებაში არსებული 25-ვე საცხოვრებელი კორპუსის, მშვიდობის ქუჩის N105. ურიდიას N26, N28; სამტრედიის ქუჩის N12 და N16-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გამრიცხველიანების მასშტაბური პროექტი. სრულად განახლდება 17 ჭაბურღილი.

პროექტის დასრულების შემდეგ, ქალაქ პირველი და 12-ვე ზონის, მენჯის, ახალსოფლის, ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: საბესელიოს, საოდიშარიოს, საკილასონიოს, ნოსირის, შუა და მეორე ნოსირის, მიმდებარე სოფლების მოსახლეობა 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერიის უშუალო ჩარევის შედეგად განხორციელდა თბილისი-სენაკი-ლესელიძეს საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 286-290 კმ-ზე რეაბილიტაცია, ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის 76-86კმ-ზე მონაკვეთის რეაბილიტაცია, ნოქალევი-ლეძაძამე-დიდი ჭყონის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის კმ2 და კმ11-ის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია. მიმდინარეობს სენაკი-ნოქალაქევი-ბანძა-ხონის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის 15-20კმ მონაკვეთის რეაბილიტაცია.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა მდინარეების სანაპირო ზოლის დაზიანებული და საშიში მონაკვეთების გამოვლენა და სათანადო უწყებების წინაშე წარდგენა. შესაბამისად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით განხორციელდა ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის, საგვიჩიოს უბანში მდ.რიონზე ნაპირსამაგრი სამუშაოები - ღირებულებით 4 888 888 (ოთხი მილიონ რვაასოთხმოცდარვა ათას რვაასოთხმოცდარვა) ლარი.

2023 წელს დაიწყო და 2024 წელს დასრულდა ახალისოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ისულაში მდ.რიონზე ნაპირსამაგრი სამუშაოები და თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ტყირში მდ. რიონზე ნაპირსამაგრი სამუშაოები - ღირებულებით 3 988 888 (სამი მილიონ ცხრაასოთხმოცდარვა ათას რვაასოთხმოცდარვა) ლარი.

მეწყერისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლების მდგომარეობაზე შემუშავებულ იქნა დოკუმენტაცია და შუამდგომლობა გაეწია მოქალაქეებს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან გეოლოგიური დასკვნის მიღების მიზნით, შესაბამისად 2024 წელს წარმოდგენილ იქნა 96 ბენეფიციარზე გეოლოგიური დასკვნა, საიდანსაც 29 ბენეფიციარი დაექვემდებარა ადგილმონაცვლეობას, ხოლო 67 ბენეფიციარს მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია. ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან 24 მოქალაქეს შუამდგომლობა გაეწიათ კატეგორიის მისანიჭებლად.

დასრულდა ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ფოცხო, ლეგოგიე-ნასაχუ, მოხაში, მეორე მოხაშისა და ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: შუა ხორში, დიდი ხორში, პატარა ზანა, საადანაიო, საგუგუნავო, ციზეთის საპროექტო სამუშაოები. ამჟამად მიმდინარეობს სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოები.

აგრეთვე სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა მენχის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ბათარია, პერტული, საგაბესკირიო, საწულეისკირიო, სახერბედიო, სკურიასა და ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ლეძაძამე, ბეთლემი, კვაუთი, ლეგოგიე, ლესაχაიე, χოლევში.

მთავრობის განკარგულებით სენაკის მუნიციპალიტეტის ზანისა და უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში: ზანა, ეწერი, სატყებუჩაო, საესებუო, საშურღაიო, უშაფათი, ლეგოგინე და ლეკოკაიეში მიმდინარეობს გაზიფიცირების საპროექტო სამუშაოები, რითაც მთლიანად დასრულდება სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაზიფიცირების სამუშაოები.

2024 წელს, შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ დაფინანსებით, სამელიორაციო და დაშრობითი პროექტები განხორციელდა ახალსოფლის, ზემო ჭალადიდის, თეკლათის და ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულებში, საერთო ღირებულებით 298 600 ლარი. ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოები განხორციელდა 404 ჰა-ზე. ჩატარდა 23 582 გრძივ მეტრზე სადრენაჟე არხის ამოწმენდის სამუშაოები, ღირებულებით 75 464 ლარი; ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოები განხორციელდა 165 ჰა-ზე. ჩატარდა 65 000 გრძივ მეტრზე სადრენაჟე არხის ამოწმენდის სამუშაოები, ღირებულებით 105 000 ლარი. 12 500 გრძივ მეტრზე არხის კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 27 000 ლარი; თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოები განხორციელდა 30 ჰა-ზე. ჩატარდა 3 160 გრძივ მეტრზე სადრენაჟე არხის ამოწმენდის სამუშაოები, ღირებულებით 10 622 ლარი; ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოები განხორციელდა 75 ჰა-ზე.

ჩატარდა 5 950 გრძივ მეტრზე სადრენაჟე არხის ამოწმენდის სამუშაოები, ღირებულებით 42 914 ლარი. ამჟამად დასრულების ეტაპზეა 2000 გრძივ მეტრზე არხის კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 37 600 ლარი.

2024 წელს სამსახურმა მშენებლობის ნებართვა გასცა 40 ფიზიკურ და 21 იურიდიულ პირზე. ადგილობრივ ბიუჯეტში მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის სახით შეტანილ იქნა 73858,93 (სამოცდაცამეტიათას რვაასორმოცდათვრამეტი და 93 თეთრი) ლარი. გაცემული ნებართვებიდან 23 ფიზიკურ პირზე გაცემულ იქნა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა.

ყოველკვარტალურად ინფორმაცია მიეწოდება სამხარეო რწმუნებულის ადმინისტრაციას გაცემული ნებართვებისა და ექსპლოატაციაში მიღებული შენობა-ნაგებობების შესახებ წარმოდგენილი ფორმის მიხედვით, ასევე ყოველკვარტალურად ინფორმირდება საქსტატის ეროვნული სამსახური გაცემული ნებართვების შესახებ. საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების შემდეგ ნებართვები გაცემულ იქნა კერძო და იურიდიულ პირებზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული გზების მიმდებარედ ასაშენებელ შენობა-ნაგებობზე. მიმდინარე წელს დეპარტამენტთან შეთანხმდა 10 ობიექტი. უნებართვოდ და უპროექტოდ აშენებულ საცხოვრებელ სახლებსა და დამხმარე შენობა-ნაგებობებზე ლეგალიზების ნებართვა გაიცა 35 ფიზიკურ პირზე.